თბილისის არქიტექტურის სამსახურს

ნონა მამფორიას, პ/ნ 01007001802

განცხადება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის თაობაზე

გთხოვთ გაცნობის მიზნით მოგვაწოდოთ ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების ხელმოწერილი ვერსიების ელექტრონული ასლები, ხელის მომწერი პირების თანამდებობების, სახელისა და გვარების მითითებით, მათ შორის:

1. 10.12.2013 წლის № AR1183596 განცხადება, თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.12.2013 წლის № 1043510 გადაწყვეტილება.
2. 23.12.2013 წლის № AR1186408 განცხადება, თბილისის არქიტექტურის სამსახურის 22.01.2014 წლის № 1062047 გადაწყვეტილება.
3. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისის" 26.12.2013 წლის № 51 სხდომის ოქმის სრული ვერსია. 26.12.2013 წლის მდგომარეობით მოქმედი, ქალაქ თბილისის მერის გადაწყვეტილება, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა კომისის" შექმნის შესახებ, კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნისა და წევრების ძირითადი თანამდებობების (სამუშაო ადგილის), სახელისა და გვარების მითითებით.
4. 28.12.2013 წლის № AR1187749 განცხადება, თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.01.2014 წლის № 1064282 გადაწყვეტილება.
5. 10.04.2014 წლის № AR1211322 განცხადება, თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.05.2014 წლის № 1254453 ბრძანება.
6. 07.05.2014 წლის №AR1217622 განცხადება, თბილისის არქიტექტურის სამსახურის 16.05.2014 წლის № 1260137 ბრძანება.
7. მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.12.11.054.023) სამშენებლოდ გამოყენების პირობებისა და ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის თაობაზე დამკვეთის მიერ განთავსებული საჯარო ინფორმაცია. ბრძანება მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.12.11.054.023) სამშენებლოდ გამოყენების პირობებისა და ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის საკითხის საჯარო განხილვის, ზეპირი მოსმენის დანიშნვის თაობაზე.
8. მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.12.11.054.023) სამშენებლოდ გამოყენების პირობების საინფორმაციო დაფის (ბანერის) ფოტოები გადაღებული ახლო და შორი მანძილიდან.
9. მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.12.11.054.023) სამშენებლოდ გამოყენების პირობების შეთანხმების თაობაზე დამკვეთის მიერ თქვენთვის წარდგენილი წერილების ასლები და დამკვეთის მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადასტურებლად წარდგენილი სხვა დოკუმენტები, მეზობელ მესაკუთრეთა თანხმობების ჩათვლით.
10. მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.12.11.054.023) სამშენებლოდ გამოყენების პირობების, ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის, პროექტის (დამუშავების, განხილვის) შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში თქვენი სამსახურის მიერ ხომ

არ იყო გამოცემული (ცვლილება შეტანილი, კორექტირებული, გასაჩივრების გამო გაუქმებული) ზემოთ ჩამოთვლილების გარდა სხვა ადმინისტრაციული აქტები. დადებითი პასუხის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდეთ მათი ელექტრონული ასლები.
11. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 16.05.2014 წლის № 1260137 ბრძანების თანახმად დამკვეთს წარმოადგენდა ზინა ზეთურიძე, პ/ნ 01019025127, დღეის მდგომარეობით ვინ არის მშენებლობის ნებართვის მფლობელი და რომელი იურიდიული დოკუმენტის საფუძველზე. გთხოვთ მოგვაწოდოთ დამკვეთის შეცვლის დამადასტურებელი დოკუმენტის ელექტრონული ასლი.

გთხოვთ ინფორმაცია მომაწოდოთ word-ის ან pdf-ის ფაილებში, ვინაიდან თქვენს მიერ ადრე მოწოდებული ფაილები არ გაიხსნა მათი დაზიანების ან სხვა სისტემით მოწოდების გამო.
წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით
ნონა მამფორია